გიორგი სანიკიძე არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროებს შეადგენს ახლო აღმოსავლეთის (უპირველესად ირანის) ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა; საქართველოსა და კავკასიის ისტორიული ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებთან; თანამედროვე ისლამთან და ისლამურ მოძრაობებთან დაკავშირებული პრობლემები; „ორიენტალიზმის“ საკითხი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობები. აღნიშნულ თემატიკასათან დაკავშირებით კითხულობს სალექციო კურსებს, სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტებს.

გიორგი სანიკიძე არის 100-მდე პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი (წიგნები, სტატიები, სახელმძღვანელოები, კატალოგი, ენციკლოპედიური ლექსიკონი). მის ნაშრომები, საქართველოს გარდა, გამოქვეყნებულია აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, იაპონიაში და სხვ. გამოცემულ მაღალ- რეიტინგულ ჟურნალებსა და კრებულებში. მისი ნაშრომებიდან შეიძლება დასახელდეს ირანი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები. განსხვავებული რეალობები, განსხვავებული შესაძლებლობები (2022).

გიორგი სანიკიძე მოწვეული მკვლევრის სტატუსით მუშაობდა კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტში, პარიზი-სორბონა – III და IV უნივერსიტეტებში, ჰოკაიდოს და ოსაკას უნივერსიტეტებში. წაკითხული აქვს ლექციები მსოფლიოს არაერთ უნივერსიტეტში; იყო მრავალი საერთაშორისო ფორუმის მონაწილე და ორგანიზატორი; არის რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის წევრი, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ირანული კვლევების ინსტიტუტის მრჩეველტა საბჭოს წევრი.მიღებული აქვს ფულბრაიტის, დიდროს, კარნეგის ფონდის, იაპონიის ფონდის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევების ასოციაციის, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის, INTAS-ის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და სხვ. გრანტები და სტიპენდიები. 2012 წელს ირანისტიკისა და ისლამმცოდნეობის დარგებში განხორციელებული კვლევებისთვის მიენიჭა „ფარაბის“ საერთაშორისო პრიზი (ირანი, იუნესკო-ს მხარდაჭერით).